ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.06.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 014/14

შეკითხვა:

ადვოკატმა აწარმოა კლიენტის საქმე. მან კლიენტთან შეთანხმებით მოიძია და გამოითხოვა სხვადასხვა დოკუმენტაცია საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატს უნდა წარმოედგინა კლიენტის ინტერესები სასამართლოში, მაგრამ აღნიშნული არ განუხორციელებია, რის შესახებ წინასწარ გააფრთხილა კლიენტი. ადვოკატს მიაჩნდა, რომ მის კლიენტს ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა სხვა ადვოკატის მომსახურებით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა დაარღვია თუ არა პროფესიული ეთიკის ნორმები?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით: „ ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით. “

განსახილველ შემთხვევაში, კონკრეტულად უნდა დადგინდეს ადვოკატმა როდის განუცხადა უარი თავის კლიენტს, რომ აღარ დაიცავდა მის ინტერესებს სასამართლოში. იმ შემთხვევაში, თუ გონივრული ვადის ფარგლებში ადვოკატმა წინასწარ გააფრთხილა მისი კლიენტი აღნიშნულთან დაკავშირებით, ადვოკატის მიერ არ იქნებოდა დარღვეული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი.

დასკვნა:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის დარღვევას არ ექნება ადგილი იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი კლიენტის ინტერესების სასამართლოში წარმოდგენაზე უარს განაცხადებს ისე, რომ კლიენტს ექნება შესაძლებლობა და გონივრული ვადა, იმისათვის, რომ ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული მომსახურებით.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.